ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 137 (20888) — ხუთშაბათი, 12 ივნისი, 1990 წელი. — ფასი 8 კაპ.

მეცხვარეთა ფაფხული

კმაყოფილი წავიდნენ ხაზფხულო იალაღებზე წითელწყაროს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეები. უკან დარჩა გამოზამთრებისა და დოლიანობის ძნიმე და პასუხსაგები დღეები. მეურნეობის მეცხვარეების ფარეს ⅔ ათასი ბატკანი შეემატა — ყოველ ას ნერგზე 85-ის ნაცვლად მიიღეს და შეინარჩუნეს 90 სული ბატკანი. ახლა წითელწყაროელების ცხვარი ხაზაფხულო იალაღებზე სუქდება.

სურათზე: გამოცდილი მეცხვარე, ფერმის გამგე რობინზონ ნატროშვილი.

ედუარდ ეგინოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი

მ. ს. გორბაჩოვისა და მ. ტეტჩერის შეხვედრები თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის უცილობელი და არსებითი ელემენტი გახდა. მ ივნისის შეხვედრას განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს არა მარტო ის, რომ ბრიტანეთის პრემიერი ამჯერად საბჭოთა კავშირშია საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის ურთიერთობის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენის — „სსრ კავშირში დიდი ბრიტანეთის დღეების“ გამო, არამედ ისიც, რომ ეს შეხვედრა საერთაშორისო განვითარების მეტად პასუხსაგებ მომენტში გაიმართა.

სსრ კავშირის პრეზიდენტი მ. ტეტჩერს ესაუბრა ცანადასა და შეერთებულ შტატებში ვიზიტების შესახებ, ორივეს მაღალი შეფასება მისცა იქ გამართული მოლაპარაკებების მნიშვნელობას — არა მარტო მის კონკრეტულ შედეგებს, არამედ ურთიერთმოქმედების იმ პოტენციალსაც, რომელიც ამის შედეგად წარმოიქმნა და რომელიც ახლა განსაკუთრებით საჭიროა ევროპასა და მსოფლიოში პოზიტიური განვითარებისათვის.

მ. ს. გორბაჩოვმა ილაპარაკა ვარშავის ხელშეკრულების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის შესახებ. თანამშაფერებმა ქმაყოფილებით აღნიშნეს ამ თათბირის ახალი ხასიათი, პრინციპული მნიშვნელობა მის მონაწილეთა მიერ გამოცხადებული განზრახვისა, რომ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია გარდაქმნან ახალი პირობების შესაბამისად.

დიდი ყურადღება დაეთმო გერმანიის პრობლემას, გერმანიის გაერთიანების საგარეო ასპექტებს. რაც შეეხება ვენის მოლაპარაკებას, ორივე ხელმძღვანელი ემყარება იმას, რომ ევროპაში ჩვეულებრივ იარაღისა და შეიარაღებული ძალების შესახებ შეთანხმება შეიძლება დაიდოს და უნდა დაიდოს კიდეც წელს უმაღლესი დონის საერთო-ევროპულ თათბირზე, გერმანიის გაერთიანების საგარეო ასპექტების მოწესრიგებაში სასიკეთო განვითარების შესაბამისად.

როგორც ეს უკვე დამკვიდრდა მ. ს. გორბაჩოვისა და მ. ტეტჩერის ურთიერთობაში, მათი აზრთა გაზიარების მუდმივი თემაა გარდაქმნა. ამჯერადაც, განსაკუთრებით მისი ფუნდამენტური ამოცანების დაწყებულ გადაწყვეტას დაეთმო დიდი ყურადღება.

მ. ტეტჩერი დაინტერესდა ლიტვის პრობლემით და საერთოდ ბალტიისპირეთში არსებული მდგომარეობით, გამოავლინა ისტორიულ და თანამედროვე გარემოებათა კარგი ცოდნა. მ. ს. გორბაჩოვმა თავისი თანამოსაუბრის წინაშე გააშუქა პრობლემის მთელი სირთულე და წინააღმდეგობრიობა, გააცნო თავისი ცნობილი მიდგომა: იმოქმედოს კონსტიტუციის და კანონიერების ფარგლებში, გარდაქმნის სულისკვეთებით.

* * *

გაიმართა მ. ს. გორბაჩოვისა და მ. ტეტჩერის ერთობლივი პრესკონფერენცია.

* * *

იმავე დღეს დიდი ბრიტანეთის მთავრობის მეთაურს შეხვდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი. ბაუალხდილი და არაფორმალური აზრთა გაზიარების დროს ძირითადი ყურადღება მიეპყრო საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების რთულ პრობლემათა გადაჭრაში ორივე მხარის გამოცდილების შეფარდებას.

მ. ტეტჩერმა ცხოველი ინტერესი გამოიჩინა სსრ კავშირის ეკონომიკის საჭირბოროტო პრობლემებისადმი, მაღალი შეფასება მისცა გარდაქმნათა განხორციელებაში საბჭოთა ხელმძღვანელობის თანამიმდევრულობას.

ნ. ი. რიჟკოვი შეეხო საბჭოთა ეკონომიკის რადიკალური გარდაქმნისადმი შესაძლო მიდგომის მთავრობაში ჩამოყალიბებულ შეხედულებას, რომელმაც ძლიერი და გრძელვადიანი იმპულსები უნდა მიანიჭოს სხვადასხვა დონის სამეურნეო საქმიანობას.

* * *

ნ. ი. რიჟკოვმა და მ. ტეტჩერმა ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს შორის ეკონომიკური და სამრეწველო თანამშრომლობის განვითარების 1991-2000 წლების პროგრამას, სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის კულტურული ცენტრების შექმნისა და საქმიანობის შესახებ სამთავრობათშორისო შეთანხმებას, ეკონომიკის მართვის დარგში კადრების მომზადებისათვის თანამშრომლობის სამთავრობათშორისო პროგრამას.

* * *

გაიმართა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა და მ. ტეტჩერის შეხვედრა.

* * *

მ. ტეტჩერი შეხვდა აგრეთვე მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარეს გ. ხ. პოპოვს.

დიდი ბრიტანეთის მთავრობის მეთაურმა გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის გალავანთან.

* * *

9 ივნისს მოსკოვიდან კიევს გაემგზავრა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მ. ტეტჩერი. საბჭოთა ხელმძღვანელობის მოწვევით იგი ჩვენს ქვეყანაში სამუშაო ვიზიტად იმყოფება.

აეროპორტში, სადაც აღმართული იყო დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის სახელმწიფო დროშები, იგი გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

* * *

კიევის აეროდრომიდან, სადაც მ. ტეტჩერს მიესალმნენ უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ა. მასოლი, სხვა ოფიციალური პირნი, სტუმარი გაემართა უკრაინის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენისაკენ. იქ გამოფენილია ბრიტანეთის მთავარი ექსპოზიციები.

წვევის პირველი ობიექტი იყო გამოფენა „დიდი ბრიტანეთის თანამედროვე მრეწველობა“. იგი ასახავს ტექნოლოგიის მთელ მრავალფეროვნებასა და სიახლეებს დარგებში, რომლებითაც ბრიტანეთის კომპანიები მთელ მსოფლიოში არიან განთქმული.

ბრიტანელი სტუმარი დაესწრო კიევე რომდენიმე ღონისძიებას, რომლებიც სსრ კავშირში დიდი ბრიტანეთის დღეების ფარგლებში იმართება.

მხატვრის რესპუბლიკურ სახლში მან დაათვალიერა ბრიტანეთის წიგნებისა და პერიოდული გამოცემების გამოფენა. აქ მ. ტეტჩერმა გადასცა დიდ ბრიტანეთში სამეცნიერო სამუშაოთა შესასრულებლად ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერებისათვის განკუთვნილი სტიპენდიები.

კინოთეატრში „კიევსკაია რუს“ ბრიტანეთის მთავრობის მეთაურმა დაათვალიერა უაღრესად მკაფიო გამოსახულებიანი სატელევიზიო პანორამული ექსპოზიცია, რომელიც მის ქვეყანაშია დამზადებული.

რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში მ. ტეტჩერი შეხვდა უკრაინის სსრ სახალხო დეპუტატებს.

იმავე დღეს უკრაინის სსრ მთავრობის სახელით დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს გაუმართეს საუზმე.

მ. ტეტჩერმა გვირგვინით შეამკო მარადიული დიდების პარკში დაკრძალული უცნობი ჯარისკაცის საფლავი. ყვავილებით შეამკეს ფაშისტთა ბანდიტ ბაბი იარში დახვრეტილი საბჭოთა მოქალაქეებისა და საბჭოთა არმიის ჯარისკაცებისა და ოფიცრების — ტყვეების მონუმენტი.

ქალაქში მოგზაურობის დროს მ. ტეტჩერი შეჩერდა უკრაინის დედაქალაქის (ჯენტრში, ოქტომბრის რევოლუციის მოედანზე. იგი გადმოვიდა მანქანიდან, ესაუბრა კიეველებს.

დღის პროგრამა დამთავრდა იმით, რომ კიევის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში იგი დაესწრო გ. ჰენდელის ოპერას „ქსერქსეს“, რომელშიც ინგლისის ეროვნული ოპერის მსახიობები მონაწილეობდნენ.

(საკდესი).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება

„დამოუკიდებელი ლიტვის სახელმწიფოს აღდგენასთან დაკავშირებით ამნისტიის შესახებ“ ლიტვის სსრ კანონის თაობაზე

ლიტვის სსრ უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 8 მაისს მიიღო კანონი „ლიტვის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით ამნისტიის შესახებ“.

აღნიშნული კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ამნისტია კრძალდება ყველაზე, ვინც დანაშაული ჩაიდინა რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1990 წლის 11 მარტამდე. ეს ნორმა ეწინააღმდეგება ლიტვის სსრ კონსტიტუციის 77-ე მუხლის მე-14 პუნქტს, რომელიც მის განმგებლობას მიაკუთვნებს ამნისტიის გამოცხადებას მხოლოდ რესპუბლიკის სასამართლოთა მიერ მსჯავრდადებულ მოქალაქეთა მიმართ.

მხედველობაში ვიღებ რა იმას, რომ ლიტვის სსრ უზენაესი საბჭოს აქტი ეხება მოქალაქეთა უფლებებს, და სსრ კავშირის კონსტიტუციის 127³ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვადგენ:**

1. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავენ „ლიტვის სახელმწიფოს აღდგენასთან დაკავშირებით ამნისტიის შესახებ“ ლიტვის სსრ 1990 წლის 8 მაისის კანონის შესრულებას სსრ კავშირისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მიერ მსჯავრდადებული სსრ კავშირის მოქალაქეების მიმართ.

2. გათვალისწინებულ იქნეს, რომ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი უზრუნველყოფს ზედამხედველობას „ლიტვის სახელმწიფოს აღდგენასთან დაკავშირებით ამნისტიის შესახებ“ ლიტვის სსრ 1990 წლის 8 მაისის კანონის აღსრულებისადმი სსრ კავშირის კონსტიტუციისა და ლიტვის სსრ კონსტიტუციის მოთხოვნების უსტი შესაბამისობით.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი

მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 8 ივნისი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე მეთხუთმეტე სესია 1990 წლის 20 ივნისს ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 10 ივნისი.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე მეთხუთმეტე სესიის დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1. „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებაში დამატების შეტანა (საქართველოს რევკომის 1921 წლის 16 თებერვლის, 1921 წლის 24 მა ტისა და საქართველოს დემოკ ტიული რესპუბლიკის პოლიტიკური ინსტიტუტების გაუქმების სხვა აქტების სამართლებრივი შეფასება) და ამ დადგენილების შემდგომი რეალიზაციის ღონისძიებანი. მიმართვა რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოსადმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის სამართლებრივი და პოლიტიკური შედეგების შეფასების თაობაზე.

2. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა.

3. საქართველოს მოქალაქეობის კანონპროექტი.

4. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საყოველთაო დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნების კანონის პროექტი.

5. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის, პოლიტიკური პარტიების, მასობრივი მოძრაობების, პროფესიული და შემოქმედებითი კავშირების, ნებაყოფლობითი საზოგადოებების, ასოციაციების კანონის პროექტი.

6. საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების კანონის პროექტი.

7. საბჭოთა არმიაში ალტერნატიული სამსახურისა და მასთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი რეგლამენტაცია.

8. სსრ კავშირის მთელი რიგი კანონების შეფასება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77-ე მუხლის საფუძველზე.

მზადდება საპროგრამო დოკუმენტი

ბოიცვას ხალხის კოლექტიური გონი, იყოს საბჭოთა საზოგადოების კონსოლიდაციის საიმედო საფუძველი მოწოდებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საპროგრამო დოკუმენტი, რომელიც განსახილველად წარედგინება მის XXVIII ყრილობას. ამას ეხებოდა საუბარი 8 ივნისს მოსკოვში გამართულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საბჭოთა კავშირის კომუნისტების ფორუმისათვის მოსამზადებელი კომისიის სამუშაო ჯგუფის მეორე სხდომაზე.

სხდომას უძღვებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. მედვედევი. მან აღნიშნა, რომ პირველი სხდომის შემდეგ განვლილ დროში მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა. მომზადებულია არსებითად განახლებული საპროგრამო დოკუმენტის ტექსტი, რომელშიც გათვალისწინებულია კომუნისტების წერილებსა და მიმართვებში, პრესის გამოსვლებში, ალტერნატიულ პლატფორმებში გამოთქმული მრავალი შენიშვნა და წინადადება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ხაზი გაუსვა იმ სიახლეს, რომელიც უკვე გამოვლინდა დადაუშავებული დოკუმენტის სტრუქტურასა და შინაარსში და წინადადება წამოაყენა მთავარი ყურადღება დაუთმონ იმ ძირითად პრობლემებს, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ მისი მომზადების დამამთავრებელ სტადიაზე. კერძოდ, ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა ერთხელ კიდევ ყოველმხრივ და საფუძვლიანად გაანალიზდეს და აისახოს მოსამზადებელ ტექსტში ყრილობის წინადა დისკუსიის დროს განსაკუთრებით მწვავედ დასმული საკითხები გარდაქმნაში პარტიის როლისა და ადგილის, მისი სოციალური ბაზის, ეკონომიკური რეფორმის დარგში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის, იმ კრიზისის ხასიათის, მიზეზებისა და გამოსავლის გზების შესახებ, რომელშიც ჩვენი საზოგადოება აღმოჩნდა.

ეს საკითხები იდგა გაცხოველებული განხილვის ცენტრში. განხილვაში მონაწილეობდნენ ჩერნიგოვის პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტიკური ისტორიისა და სოციალიზმის თეორიის კათედრის გამგე ვ. კ. მოლოჩკო, მოსკოვის ვლადიმერ ილიას ძის სახელობის ელექტრომექანიკური ქარხნის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის უფროსის მოადგილე ა. ე. ფედოტოვი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ა. პროკოფიევი, სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სამინისტროს ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი ა. ს. ისაევი, მოსკოვის მიქოიანის სახელობის ქარხნის პარტკომის მდივანი ს. ი. გორიუშკინი, მინსკის საათების ქარხნის პარტკომის მდივანი ვ. ვ. ჩიკინი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის საკავშირო კარდიოლოგიური სამეცნიერო ცენტრის დირექტორის მოადგილე ვ. ვ. კუხარჩუკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის აკადემიის პრორექტორი პ. გ. ბუნინი, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი ვ. ვ. კეშელავა, ჟურნალ „დიალოგის“ მთავარი რედაქტორი ვ. დ. პოპოვი, ბაშკირეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანი ს. ნ. ლავრენტიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ნ. ზაიკოვი, სკკპ მოსკოვის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ა. სენკოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი ვ. ს. სტეპინი, მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი, სსრ კავშირის ფსიქოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი ი. მ. ზაბროდინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგე ა. ს. კაკტო.

ორატორთა უმრავლესობა სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატები არიან, რომლებმაც ეს-ეს არის გაიარეს წინასაარჩევნო ბრძოლის ბრძმედში. სწორედ მათ მისცეს ტონი დისკუსიას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ განსაკუთრებით საჭიროა გაეთვალისწინოთ რიალური ცხოვრების პრობლემები, შევუსაბამოთ მოსამზადებელი დოკუმენტი ობიექტურ სიტუაციას (საზოგადოების კრიზისი, სოციალური დაძაბულობის ზრდა, პარტიაში სხვადასხვა პლატფორმის შექმნა და სხვ.). ითქვა ისიც, რომ მრავალი რამ გაურკვეველია პარტიის პრიორიტეტული მიზნების განსაზღვრასთან, სოციალიზმისა და კომუნისტური პერსპექტივის თანამედროვე გაგებასთან დაკავშირებით. გამოითქვა სურვილი უფრო საფუძვლიანად გაანალიზდეს გარდაქმნის პერიოდის შეცდომები. გაისმოდა გაფრთხილება იმის გამო, რომ კი არ უნდა ვამარტივებდეთ სიტუაციას, არამედ ვავლენდეთ საზოგადოების განვითარების პროცესების ობიექტურ კანონზომიერებებს. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ თვითგვემით ხალხს ვერ გაიტაცებ და ვერ შთაგონებ.

მწვავედ განიხილებოდა ის საკითხი, თუ რას წარმოადგენს დღეს და როგორი უნდა გახდეს პარტია. ორატორებმა არასაკმაოდ მკაფიო უწოდეს პარტიის რეალური რეფორმისადმი მიძღვნილ კარს. უნდა განმარტოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სოციალური ბაზის საკითხი.

გაცხოველებული კამათი გამოიწვია ეკონომიკურმა საკითხებმა, და უწინარესად საბაზრო ეკონომიკისადმი, იმ პრობლემების მთელი კომპლექსისადმი დამოკიდებულებამ, რომლებიც საკუთრების ფორმების მრავალფეროვნებას უკავშირდება.

ბევრმა ორატორმა გააკრიტიკა საპროგრამო დოკუმენტის წარმოდგენილი პროექტი იმის გამო, რომ ჯერ კიდევ შეიცავს ზოგად ფორმულირებებს, გაურკვეველია პოზიციები, მოითხოვდნენ მისი მოცულობის მნიშვნელოვან შემცირებას. საერთოდ, კი აღინიშნა, რომ საპროგრამო დოკუმენტის განსახლებული ვარიანტი წინადადგმული ნაბიჯია ადრე გამოქვეყნებული პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტთან შედარებით.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ დოკუმენტზე შემდგომი მუშაობა წარიმართოს ყრილობის დელეგატთა, აგრეთვე ალტერნატიული პლატფორმების ავტორთა ფართო მონაწილეობით.

სამუშაო ჯგუფის სხდომის დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება გაზეთ „პრავდაში“.

(საკდესი).

რუსეთის პარტიული კონფერენციისათვის მზადების საკითხები

9 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს და რუსეთის პარტიული კონფერენციის მოსამზადებელი კომიტეტის გაერთიანებული სხდომა, რომელზეც განიხილეს რუსეთის კომუნისტთა მომავალი ფორუმის მუშაობის ძირითადი საკითხები. ამას წინ უძღოდა კომიტეტის წევრების, მისი სამუშაო ჯგუფების დიდი და მუყაითი საქმიანობა დოკუმენტების პროექტების შესამუშავებლად, კონფერენციის მასალების მოსამზადებლად.

სხდომაზე გამოვიდა მ. ს. გორბაჩოვი. იგი შეეხო სკკპ XXVIII ყრილობის ზღურბლზე ქვეყანასა და პარტიაში შექმნილ სიტუაციას და დამსწრეთ გააცნო, თუ როგორ მიმდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმისა და სკკპ წესდების პროექტებზე მუშაობა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების მომზადება. მომავალ პარტიულ ყრილობას შემობრუნების მნიშვნელობა ექნება, რამდენადაც მან უნდა დაამკვიდროს ყოველივე ის, რაც მოპოვებულია ასეთი ტანჯვით და არა მარტო პარტიის, არამედ მთელი საზოგადოების მიერ, გაიაზროს გარდაქმნის ხუთი წლის გამოცდილება, რათა სერიოზულად განაზოგადოს და დაპროგნოზოს ახალ პირობებში პარტიის საქმიანობის უახლოესი პერსპექტივა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელ ყრილობისწინა საქმიანობაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რუსეთის პარტიული კონფერენცია, ხაზგასმით აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც დელეგატებმა უნდა განიხილონ, რუსეთის სფსრ კომუნისტური პარტიის შექმნაა, რეალურად არსებული ვითარების, საზოგადოებრივი მოღოდინის პირობებში მისი შექმნის დაყოვნება არ შეიძლება. ამავე დროს, უნდა ვიმოქმედოთ გაბრუებულად, რათა ამ ნაბიჯმა ხელი არ შეუწყოს ცენტრიდანული ტენდენციების განვითარებას, არამედ მიზნად დაისახოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთელი საზოგადოების ერთიანობა.

მ. ს. გორბაჩოვი შეეხო რუსეთის პარტიული კონფერენციის მოწყობის კონკრეტულ საკითხებს და აღნიშნა, რომ ამ მხრივ შემოტანილია სხვადასხვაგვარი წინადადებანი. ერთ-ერთი მათგანი გულისხმობს პირველ ეტაპზე რუსეთის სფსრ კომპარტიის შექმნის შესახებ რეზოლუციის მიღებას, პირველი მდივნის არჩევას და საორგანიზაციო კომიტეტის შექმნას, რათა შემდგომზე მოწვეულ იქნეს დამფუძნებელი ყრილობა. მეორე წინადადება ითვალისწინებს კონფერენციის კონსტიტუირებას დამფუძნებელ ყრილობად და ყრილობაზე კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევას.

ეს საკითხები გახდა სხდომის მონაწილეთა გაცხოველებული დისკუსიის საგანი. აზრთა, წინადადებათა და შენიშვნათა ფართო სპექტრი გადაწყვეტილია გათვალისწინებული იყოს შემდგომი მოსამზადებელი მუშაობის დროს და ისინი გამოტანილ იქნეს დელეგაციებისგან წარმომადგენელთა საბჭოს განსახილველად. მოსამზადებელი კომიტეტის წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა იმას, რომ რუსეთის პარტიულმა კონფერენციამ მოახდინოს თავისი კონსტიტუირება, რუსეთის სფსრ კომპარტიის დამფუძნებელ ყრილობად. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას თავად კონფერენცია მიიღებს.

განხილვის დროს ცენტრალური კომიტეტის, რუსეთის ბიუროსა და მოსამზადებელი კომიტეტის წევრებმა რუსეთის სფსრ კომპარტიის შექმნის საკითხის დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნიეს კონფერენციაზე მომხსენებლად რეკომენდაცია მისცენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს თავმჯდომარეს მ. ს. გორბაჩოვს.

პარტკონფერენციის მოწყობის სპეციალურ საკითხების შესახებ სხდომაზე ინფორმაცია გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ი. უსმანოვმა. თავის გამოსვლაში იგი შეეხო დღის წესრიგის, ხელმძღვანელი ორგანოების შექმნის, კონფერენციის მუშაობის წესისა და რეგლამენტის, კონფერენციის დოკუმენტების პროექტების მომზადების, დელეგაციათა წარმომადგენლების თათბირის მოწყობის, კრემლის ყრილობათა სასახლის სხდომათა დარბაზში რუსეთის პარტიული კონფერენციის მონაწილეთა განლაგების საკითხებს.

მოსამზადებელ კომიტეტს დაევალა გამართული აზრთა გაზიარების გათვალისწინებით დაამუშაოს წინადადებანი ხელმძღვანელი ორგანოების, მუშაობისა და რეგლამენტის წესის შესახებ, კონფერენციის დოკუმენტების პროექტების მომზადების, დელეგაციათა წარმომადგენლების თათბირის მოწყობის, კრემლის ყრილობათა სასახლის სხდომათა დარბაზში რუსეთის პარტიული კონფერენციის მონაწილეთა განლაგების საკითხებს.

მოსამზადებელ კომიტეტს დაევალა გამართული აზრთა გაზიარების გათვალისწინებით დაამუშაოს წინადადებანი ხელმძღვანელი ორგანოების, მუშაობისა და რეგლამენტის, კონფერენციის დოკუმენტების პროექტების მომზადების, დელეგაციათა წარმომადგენლების,

პროექტი

საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის

წესდება

მუხლი 1. სახელმძღვანელო პრინციპები და მიზნები

1.1. საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია იქმნება ნებაყოფლობით საწყისებზე საქართველოს დარგობრივი რესპუბლიკური და ავტონომიური ფორმირებების დამოუკიდებელი პროფკავშირების საფუძველზე, იღებს საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული, საერთო რესპუბლიკური ნშანშვნელობის ამოცანათა გადასაწყვეტად პროფკავშირული საქმიანობის კოორდინაციის ძალთა კონსოლიდაციისათვის და ეწოდება „საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაცია“.

1.2. საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაცია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობის, აღნიშნული წესდების, საკონფედერაციო ხელშეკრულებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საყოველთაოდ მიღებული ფუძემდებლური საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტების და კონცეფციების შესაბამისად.

1.3. საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაცია არის სუვერენული, არაანგარიშვალდებული სახელმწიფო, სამეურნეო მმართველობის და პოლიტიკური ორგანიზაციებისა და პარტიების მიმართ. რესპუბლიკის მშრომელთა ინტერესებიდან გამომდინარე კონფედერაცია ესწრაფვის პარიტეტულობის და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ფართო ურთიერთთანამშრომლობას საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და მოძრაობებთან, ამავე პრინციპებზე თანამშრომლობს სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო პროფკავშირულ ორგანიზაციებთან.

1.4. საქართველოს პროფკავშირები — კონფედერაციის წევრები იღებენ სამართლებრივი, დემოკრატიული, ჰუმანური სახელმწიფოს შესაქმნელად, რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მისაღწევად.

1.5. საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის საქმიანობა გადაწყვეტილებების მიღებისას დაფუძნებულია პროფკავშირულ დემოკრატიაზე, საყოველთაო ბასა და კოლეგიალობაზე, უმცირესობის უფლებების დაცვისა და პატივისცემის გათვალისწინებით.

1.6. საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის მიზანია დაიცვას საქართველოს პროფკავშირული მოძრაობის საერთო ინტერესები ყველა კანონიერი საშუალების გამოყენებით იმ ფორმებში, რომელიც გათვალისწინებულია საკონფედერაციო ხელშეკრულებით, აღნიშნული წესდებით და საქართველოს პროფესიული კავშირების კონფედერაციის ყრილობის გადაწყვეტილებით.

მუხლი 2. უფლებამოსილებანი და ფუნქციები

საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის უფლებამოსილებანი განისაზღვრება საკონფედერაციო ხელშეკრულებით. საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის ყრილობას შეუძლია თავისი შეხედულებით მიანიჭოს კონფედერაციას ნებისმიერი დამატებითი უფლებამოსილებანი, რომლებიც არ ხელყოფენ ხელშეკრულებას და აღნიშნული წესდების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტს.

მუხლი 3. კონფედერაციის წევრები

3.1. კონფედერაციას ხელშეკრულების საფუძველზე ქმნიან პროფკავშირების დარგობრივი და ტერიტორიული ფორმირებებს ავტონომიური ფორმირებებს საბჭოები, რომლებიც მოქმედებენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ცნობენ საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის წესდებას.

3.2. კონფედერაციაში, გამონაკლისის სახით, შესაბამისი ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე, შეიძლება შევიდეს პროფკავშირული ასოციაცია, გაერთიანება, კავშირი ან ორგანიზაცია, რომელსაც აქვს ამის სურვილი, მოქმედებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ცნობს საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების წესდებას.

3.3. პროფკავშირულმა ან სხვა ორგანიზაციამ, რომელმაც გამოთქვა სურვილი ხელშეკრულების დადებისა კონფედერაციაში შესვლაზე, კონფედერაციის გამგეობას უნდა წარუდგინოს შესაბამისი კოლექტიური ორგანოს გადაწყვეტილება და თავისი წესდება ან დებულება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ახალი ორგანიზაციის შემოსვლის სურვილის საფუძვლიანობაზე, მისი წესდების ან დებულების კონფედერაციის წესდებასთან შესაბამისობაზე, კონფედერაციის გამგეობის დასკვნის საფუძველზე, ხმების არანაკლებ 2/3-ით გადაწყვეტილებას იღებს კონფედერაციის საბჭო.

ასეთივე წესით ახალი ორგანიზაციის კონფედერაციის წევრად მიღების შემთხვევაში, ერთდროულად წყდება მისი კონფედერაციის ხელმძღვანელ ორგანოებში წარმომადგენლობის საკითხი.

3.4. კონფედერაციის წევრად მიღებაზე ორგანიზაციას უარი შეუძლია უთხრას მხოლოდ საქართველოს პროფესიული კავშირების კონფედერაციის საბჭომ. ასეთ შემთხვევაში პროფკავშირულ ორგანიზაციას შეუძლია მიმართოს აპელაციით კონფედერაციის ყრილობას, რომლის გადაწყვეტილება ითვლება საბოლოოდ.

3.5. საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციაში შემავალი ორგანიზაციები არიან სრულიად სუვერენული და არავის აქვს უფლება ჩაერიოს მათ შიდა საქმიანობაში.

3.6. თუ კონფედერაციაში შემავალი ორგანიზაცია სისტემატურად არღვევს ხელშეკრულების დებულებებს და კონფედერაციის წესდებას, იგი კონფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება იქნეს გარიცხული ხმების 2/3 უმრავლესობით.

იმ ორგანიზაციას, რომლის მიმართაც გამოტანილია ასეთი გადაწყვეტილება, შეუძლია აპელაციით მიმართოს კონფედერაციის ყრილობას, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

3.7. პროფკავშირული ორგანოს (ორგანიზაციის) შეუძლია კონფედერაციის შემადგენლობიდან გავიდეს თავისუფლად, რის შესახებაც ის ვალდებულია აცნობოს კონფედერაციას (საბჭოს ან გამგეობას) სულ ცოტა 2 თვით ადრე. ყველა შემთხვევაში იგი ვალდებულია კავშირის შეწყვეტამდე შეასრულოს კონფედერაციის წევრობის სახელშეკრულებო ვალდებულება. კონფედერაციის წევრობის შეწყვეტის ნებისმიერ შემთხვევაში ორგანო (ორგანიზაცია) ასევე მისი წევრები კარგავენ ყოველგვარ უფლებას ამა თუ იმ საკანონმდებლო კონფედერაციის ხელშეწყობაზე და მისი სტატუსის გამოყენებაზე. კონფედერაციიდან გასულ ორგანოს (ორგანიზაციას) აქვს უფლება გაანახლოს პრეტენზია კონფედერაციის უძრავ და მოძრავ ქონებაზე, დავის შემთხვევაში, საკითხს განიხილავს სასამართლო.

3.8. საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციას შეუძლია დადოს ხელშეკრულება ნებისმიერ ორგანიზაციასთან და ორგანოსთან, რომელიც დაინტერესებულია მასთან ურთიერთობით ამა თუ იმ კონკრეტული პრობლემის ანდა რიგი საკითხების გადასაწყვეტად. ამგვარი ხელშეკრულების დადება ითვალისწინებს ამ ორგანიზაციებთან საერთო ინტერესებიდან გამომდინარე ურთიერთთანამშრომლობას და შესაბამისი ერთობლივი საქმიანობის ფინანსირებაში მონაწილეობას და არა მათი კონფედერაციის წევრობის აუცილებლობას.

მუხლი 4. საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოები

4.1. **ყრილობა.**

4.1.1. საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის უმაღლესი ორგანოა ყრილობა.

მორიგი ყრილობა იმართება 5 წელიწადში ერთხელ, იგი ამტკიცებს წესდებას, პროგრამას, საკონტროლო კომისიის დებულებას, განსაზღვრავს კონფედერაციის პოლიტიკას, იხილავს სამოქმედო ამოცანებს, რომლებიც შემდგომ აისახება საბჭოს და გამგეობის სამუშაო გეგმებში. ყრილობა ასევე იხილავს ორგანიზაციების აპელაციებს მათი კონფედერაციაში შესვლის ან გარიცხვის შესახებ, ირჩევს თავმჯდომარეს, მისი წინადადების საფუძველზე იხილავს და წყვეტს თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნების თანამდებობებზე კანდიდატურების არჩევის საკითხს, ამტკიცებს პროფკავშირული გაზეთის რედაქტორს, ადასტურებს კონფედერაციის საბჭოს, გამგეობის და საკონტროლო კომისიის შემადგენლობას კონფედერაციაში შემავალი პროფორგანიზაციების ყრილობების (კონფერენციების) წარდგენებათა საფუძველზე. დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტების, ავტონომიურ ფორმირებათა პროფესიული საბჭოების თავმჯდომარეები ავტომატურად შედიან კონფედერაციის საბჭოს და გამგეობის შემადგენლობაში.

4.1.2. ყრილობაზე დელეგატების არჩევის წესის, მისი დღის წესრიგის განსაზღვრა და ყრილობის მუშაობის რეგლამენტის დადგენა ხდება კონფედერაციის საბჭოს მიერ.

4.1.3. წევრი ორგანიზაციების 1/3 მოთხოვნით ან კონფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება მოწვეულ იქნეს საგანგებო (რიგგარეშე) ყრილობა ან კონფერენცია შესაბამისი დადგენილი დღის წესრიგით და რეგლამენტით.

4.1.4. კონფედერაციის ყრილობაზე წარმომადგენლობა განისაზღვრება შემავალ ორგანიზაციებში გაერთიანებულ პროფკავშირის წევრთა რიცხობრიობით. ყრილობის მუშაობაში მოწვეულის უფლებით მონაწილეობის მიღება შეუძლიათ რესპუბლიკის ნებისმიერი პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლებს, დამოუკიდებლად იმისა არის თუ არა ეს ორგანიზაცია კონფედერაციის წევრი. (ყრილობის მუშაობაში მათი მონაწილეობის საკითხს წყვეტს კონფედერაციის გამგეობა ან საორგანიზაციო კომიტეტი).

4.1.5. ყრილობაზე არჩევნების წესი განისაზღვრება უშუალოდ ყრილობის დელეგატების მიერ.

4.1.6. ყრილობა უფლებამოსილად ითვლება, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს დელეგატთა სულ ცოტა ორი მესამედი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრეთა ნახევარზე მეტმა.

4.2. **საბჭო**

4.2.1. საბჭო არის კონფედერაციის უმაღლესი ორგანო ყრილობებს შორის.

საბჭო ხელმძღვანელობს კონფედერაციის ყრილობის და საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებას.

იღებს გადაწყვეტილებებს ამა თუ იმ პროფკავშირული ორგანიზაციის კონფედერაციაში შესვლის შესახებ.

შეიმუშავებს წინადადებებს საწევრო და სხვა სპეციალური შეტანების შესახებ.

ამტკიცებს კონფედერაციის ბიუჯეტს და მის შესრულებას, საკუთარი კომერციული საქმიანობის შედეგებს.

წევრ-ორგანიზაციებთან შეთანხმებით კონფედერაციის ფარგლებში ქმნის რეგიონალურ საკოორდინაციო სტრუქტურებს.

თავისი წევრების სახით წარმოადგენს კონფედერაციას სახელმწიფო, მმართველობით ორგანოებთან, საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციებთან დამოკიდებულებაში, აგრეთვე საერთაშორისო და სხვა ორგანიზაციებში, საერთაშორისო ფორუმმრთობაში.

4.2.2. საბჭოს შემადგენლობაში შედიან შემავალი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც არჩეულნი არიან თავიანთი ყრილობის ან კონფერენციის მიერ და დადასტურებულნი კონფედერაციის ყრილობაზე.

4.2.3. წევრ-ორგანიზაციას უფლება აქვს თავისივე აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილებით ნებისმიერ დროს გამოიწვიოს საბჭოდან თავისი წევრი და 4.2.2. პუნქტის თანახმად წარადგინოს სხვა წევრი.

4.2.4. საბჭოს სხდომა იმართება საჭიროებისაბერ, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრეთა ნახევარზე მეტმა. საბჭოს სხდომებს იწვევენ გამგეობის გადაწყვეტილებით ან საბჭოს წევრების ერთი მესამედის მოთხოვნით და უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში წევრების 2/3-ზე მეტი მონაწილეობს.

4.3. **გამგეობა**

4.3.1. გამგეობა მუდმივმოქმედი ორგანოა, რომელიც კოორდინაციას უწევს კონფედერაციის მუშაობას საბჭოს სხდომებს შორის.

4.3.2. გამგეობა შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნებისა და კონფედერაციაში შემავალი დარგობრივი და ავტონომიური ფორმირებების, პროფკავშირული ორგანოების და პროფკავშირებთან არსებული ორგანიზაციების ხელმძღვანელებისაგან.

გამგეობა ხელს უწყობს კონფედერაციის ყრილობის და საბჭოს გადაწყვეტილებების ცხოვრებაში განხორციელებას.

ამზადებს და აწყობს საბჭოს და გამგეობის სხდომებს.

იძლევა დასკვნებს პროფკავშირული ორგანიზაციების საწესდებო დოკუმენტების, კონფედერაციის წესდებასთან და ხელშეკრულებასთან შესაბამისობის შესახებ.

4.3.3. გამგეობის სხდომები იმართება საჭიროების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ ორ თვეში ერთხელ. იგი უფლებამოსილია, თუ მის სხდომებში წევრთა ნახევარზე მეტი მონაწილეობს.

4.3.4. კონფედერაციის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივნები ხელმძღვანელობენ რა საქმიანობაში ყრილობის მიერ გაკეთული რჩევნებით, პასუხს აგებენ საბჭოს მუშაობის კონკრეტულ მიმართულებებზე, მათ არ აქვთ უფლება, გადაეჯარბონ ყრილობის მიერ გაკეთულ რჩევნებს.

ანგარიშვალდებულნი არიან ყრილობის და საბჭოს წინაშე.

ყრილობებს შორის პერიოდში მათი არჩევითი თანამდებობებიდან და აგრეთვე პროფკავშირული გაზეთის რედაქტორის განთავისუფლების ან ახალი კანდიდატურის არჩევის საკითხი იხილება და წყდება კონფედერაციის საბჭოს სხდომებზე, რომელიც მოწვეული იქნება წევრი ორგანიზაციების არანაკლებ ნახევრის მოთხოვნით ან გამგეობის გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება ხმების 2/3 უმრავლესობით.

მუხლი 5. კონფედერაციის აპარატი

5.1. კონფედერაციის არჩევითი ორგანოების ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფისათვის იქმნება მობილური აპარატი (გახსოფილებები, სექტორები, სამსახურები და სხვა).

5.2. აპარატის ქვედანაყოფების სტრუქტურა, შტატები, შრომის ანაზღაურება განისაზღვრება გამგეობის მიერ, შემდეგ კი მტკიცდება საბჭოს სხდომაზე.

5.3. აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელობა მტკიცდება საბჭოს, ხოლო მათი შემადგენლობა — გამგეობის მიერ.

მუხლი 6. კონფედერაციის კომისიები

6.1. კონფედერაციის კომისიები (მუდმივი და დროებითი) შეიძლება შეიქმნას იმ მიზნით, რათა უფრო ფართოდ და კომპეტენტურად იქნეს მოცული კონფედერაციის წინაშე მდგარი საკითხები და პრობლემები.

6.2. მუდმივი კომისიები განისაზღვრება გამგეობის მიერ და მტკიცდება საბჭოზე.

6.3. დროებითი კომისიები იქმნება საბჭოს ან გამგეობის მიერ საჭიროების, წამოჭრილი პრობლემების აქტუალობის მიხედვით გარკვეული ვადით.

6.4. მუდმივი კომისიების წევრთა რაოდენობა, სტრუქტურა, მათი ხელმძღვანელები მტკიცდება საბჭოს მიერ, ხოლო დროებითი — კომისიებისა საბჭოს ან გამგეობის მიერ.

6.5. კომისიების შემადგენლობაში შედიან კონფედერაციაში შემავალი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საჭიროების შემთხვევაში კომისიების მუშაობაში მონაწილეობისთვის შეიძლება მოწვეულ იქნენ დამოუკიდებელი ექსპერტები სამეურნეო ანგარიშის, დროებითი დაქირავებისა და თანამშრომლობის სხვა პირობებით.

მუხლი 7. საკონტროლო კომისია

7.1. საკონტროლო კომისიის შემადგენლობა დასტურდება ყრილობის მიერ შემავალი ორგანიზაციების წარმომადგენლების შემადგენლობიდან, მათი ალმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

საკონტროლო კომისიის წევრებს არა აქვთ უფლება ერთდროულად დაიკავონ რაიმე თანამდებობა კონფედერაციის სხვა არჩევით ორგანოში.

7.2. საკონტროლო კომისია ამოწმებს კონფედერაციის საბჭოს და გამგეობის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას და საჭიროებისამებრ განსახილველად გამოაქვს გამგეობის სხდომაზე.

7.3. მიმდინარე საქმიანობის წარმართვისათვის კომისია ირჩევს თავისი შემადგენლობიდან თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.

მუხლი 8. კონფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებანი

კონფედერაციის შექმნის ხელშეკრულების მე-6 პუნქტის თანახმად, დელეგირებული საკითხების ჩარჩოებში, ყრილობის, საბჭოს, გამგეობის მიერ კონსენსუსის საფუძველზე, ერთხმად მიღებული დადგენილებანი ხასიათის გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულოა მასში შემავალი ყველა ორგანიზაციისათვის.

დადგენილებანი ხასიათის გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულია ხმის უმრავლესობით, სარეკომენდაციო ხასიათისაა.

მუხლი 9. ფინანსები

9.1. კონფედერაციის საქმიანობის ფინანსირება ხდება შემავალი პროფკავშირული ორგანოების და ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულების თანახმად.

კონფედერაციის ძირითადი შემოსავლები შედგება მასში შემავალი ორგანოების და ორგანიზაციებისაგან ერთდროული (შესასვლელი) შენატანების და ყოველთვიური ანარიცხებისაგან, კონფედერაციაში შემავალი სამეურნეო ორგანიზაციების შემოსავლებისაგან და კომერციულ-ეკონომიკური საქმიანობის შედეგად.

ერთდროული (შესასვლელი) შენატანი სამჯერ აღემატება ყოველთვიური ანარიცხების ოდენობას ყოველთვიურ ანარიცხებს ადგენენ ოფლობს.

9.2. კონფედერაციაში შემავალ პროფკავშირულ ორგანოებსა და ორგანიზაციებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, კონკრეტულად განისაზღვრება ერთდროული შენატანებისა და ანარიცხების რაოდენობა, მათი შეტანის პერიოდულობა და ხელშეკრულების განახლების ვადები.

9.3. ორგანიზაცია, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობს საქართველოს პროფესიული კავშირების კონფედერაციასთან, კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტისას (წესდების მუხლი 3.3.) აფინანსებს კონფედერაციას მიზნობრივი გადარიცხვის საშუალებით.

9.4. კონფედერაცია თავის სახსრებს იყენებს ამ წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის დასაფინანსებლად, რომელიც აისახება საფინანსო გეგმაში (ბიუჯეტში) და რომელიც მტკიცდება კონფედერაციის საბჭოს მიერ.

სახსრების ხარჯვის შესახებ კონფედერაციის გამგეობა ანგარიშს აბარებს ყოველწლიურად კონფედერაციის წევრებს საბჭოს სხდომაზე.

9.5. კონფედერაციაში შემავალი პროფკავშირული ორგანოები და ორგანიზაციები თავიანთ სახსრებს თავად განაგებენ, შესაბამისი წესდებების მიხედვით.

9.6. საქართველოს პროფესიული კავშირების კონფედერაციას უფლება აქვს შექმნას საწარმო, იყოს საწარმოების მფლობელი, აგრეთვე შექმნას მისი საქმიანობის შესაბამისი დაწესებულებები, საზოგადოებები, ასოციაციები, ერთობლივი საწარმოები, მათ შორის სახლთაგარეთის ორგანიზაციებთან.

კონფედერაციის ფულადი სახსრები შეიძლება თავმოყრილი იქნას როგორც სახელმწიფო, ისე პროფკავშირულ კომერციულ, აგრეთვე ნებისმიერ სხვა ბანკში.

კონფედერაციას შეუძლია მიიღოს ანაბრის პროცენტები, მოაწყოს ლატარია, იქონიოს აქციები და გასცეს მოკლე და გრძელვადიანი სესხი. კონფედერაციას შეუძლია შექმნას საქველმოქმედო და სხვა ფონდები.

მუხლი 10. სოლიდარობის ფონდი

10.1. საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების სოლიდარობის ფონდი შეიძლება შეიქმნას ნებაყოფლობით საფუძველზე შემავალი ორგანიზაციების მიერ იმ პროფკავშირული ორგანიზაციებისთვის მატერიალური დახმარების გასაწევად, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და იძულებული არიან მოაწყონ გაფიცვები შრომელთა სოციალური ინტერესების დაცვისათვის, იმ ანალოგიური ფონდების საქმიანობის ხელშეწყობისათვის, რომლებიც კონფედერაციაში შემავალ ორგანიზაციებში შეიძლება იყოს შექმნილი.

10.2. ფონდის ფულადი სახსრები შეიძლება შეიქმნას:

ა) კონფედერაციის საბჭოს მიერ ფიქსირებული საწევრო შეატანების გარკვეული წილისაგან;

ბ) წევრი ორგანიზაციების მიერ მიზნობრივად გადარიცხული სახსრებისაგან, კონფედერაციის მიერ მოწყობილი სოლიდარობის ნებაყოფლობითი კამპანიის პერიოდში;

გ) კომერციული, სამეურნეო და საქველმოქმედო საქმიანობისაგან, ლატარიის, ნებაყოფლობითი შეწირულობის, საჩუქრების, სხვადასხვა ორგანიზაციის (მ. შ. რომელნიც კონფედერაციაში არ შედიან) მხრივ შემოსავლებისაგან და შემოწირულობებისაგან.

10.3. სოლიდარობის ფონდს განაგებს ფონდის გამგეობა, რომელიც იქმნება კონფედერაციის საბჭოს სხდომაზე გამგეობის რეკომენდაციით და რომელსაც ხელმძღვანელობს კონფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.

10.4. სოლიდარობის ფონდით სარგებლობის წესი:

— კონფედერაციაში შემავალი ორგანიზაციები აცნობენ გამგეობას შრომითი კონფლიქტების განვითარების პროცესის შესახებ, რომლებშიც მონაწილეობის დასაფინანსებლად შათ სჭირდებათ დახმარება;

— იმ შემთხვევაში, თუ ფონდის გამგეობა უარს ამბობს წევრი ორგანიზაციისა — [illegible], ამ უკანასკნელს უფლება აქვს გაასაჩივროს მისი გადაწყვეტილება კონფედერაციის საბჭოში.

10.5. თავისუფალი ფულის ნაწილი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილი მიზნებისათვის გამოყენებული არ იქნა დადგენილ დროში, კონფედერაციის გამგეობის გადაწყვეტილებით შეიძლება ბრუნვაში იქნეს გაშვებული, როგორც ბანკის მეშვეობით, ასევე კომერციულ-სამეურნეო საქმიანობით.

საგანგებო შემთხვევაში კონფედერაციის გამგეობის გადაწყვეტილებით თანხები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეროვნული ინტერესებისათვის, აგრეთვე სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებების დაფინანსებისათვის.

მუხლი 11. კონფედერაცია, როგორც იურიდიული პირი

11.1. საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს მისი ყველა უფლებითა და მოვალეობით. არის დამოუკიდებელი ბიუჯეტის განმკარგულებელი, აქვს საბანკო ანგარიშები მანეთებსა და უცხოურ ვალუტაში, საკუთარი ბეჭედი, შტამპი და სატიტულო ბლანკი დასახელებით — საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაცია. იგი მემკვიდრეობს საქართველოს პროფსაბჭოს ფინანსებს და პასუხს აგებს მისი კრედიტორ-დებიტორის წინაშე ფულად სახსრებსა და ვალდებულებებში.

მას აქვს თავისი ემბლემა-სიმბოლიკა (გერბი, ვიმპელი, სამკერდე ნიშანი, დროშა და სხვა).

11.2. საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია იურიდიული პირის უფლებებსა და მოვალეობებს იძენს საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების ყრილობაზე კონფედერაციის წესდების მიღების დღიდან.

მისი სახელწოდებაა:

საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაცია.

ადგილსამყოფელი — საქართველოს სსრ, ქ. თბილისი, 380046, გრიბოედოვის ქ. № 19.

11.3. კონფედერაციის მიერ შექმნილი სამეურნეო ქვედანაყოფები, გამომდინარე მათი კონკრეტული საქმიანობიდან, ასევე შეიძლება წარმოადგენდნენ იურიდიულ პირებს.

11.4. საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციაში საქმის წარმოება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

11.5. ამ წესდებაში ცვლილებებისა და შესწორებათა შეტანის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის ყრილობას.

11.6. კონფედერაცია შეიძლება დაიშალოს მხოლოდ ყრილობის გადაწყვეტილებით კონსენსუსის საფუძველზე, თუ ყრილობას ესწრებოდა ყველა შემავალი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

11.7. საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის დაშლის შემთხვევაში ვალდებულებათა გადაანგარიშების შემდეგ მისი ქონება იყოფა ორგანიზაციებს შორის, რომლებიც დაშლის მომენტისათვის შედიოდნენ მასში მათი გაწევრიანების, სტატუს და საწევრო ანარიცხების ექვივალენტის მიხედვით.

ყველა სადავო ჭრნებასთან დაკავშირებულ საკითხს წყვეტს სასამართლო.

11.8 საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის წესდების დამტკიცების დღიდან მასში შემავალი პროფკავშირული ორგანოებისათვის და ორგანიზაციებისათვის ძალადაკარგულად ჩაითვლება სსრკ პროფესიული კავშირების წესდება.

პროექტი

საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის

პროგრამა

1. ზოგადი დებულებები

საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაცია, რომელიც ჩამოყალიბებულია პროფესიული კავშირების საბჭოების, დარგობრივი პროფესიული კავშირების ნებაყოფლობითი საწყისებზე საქართველოს ტერიტორიაზე, ეროვნული, საერთო რესპუბლიკური ნშანშვნელობის ამოცანათა გადასაწყვეტად პროფკავშირული საქმიანობის კოორდინაციის ძალთა კონსოლიდაციისათვის და ეწოდება „საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაცია“.

1.2. საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაცია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობის, აღნიშნული წესდების, საკონფედერაციო ხელშეკრულებისა და ადამიანის ინტერესების ქარტიის და საერთაშორისო ინსტრუმენტების საყოველთაოდ მოგვეცილნონ.

რამდენიმე თვეა, რაც სპეციალური საზოგადოებრივი კომისიები მუშაობენ პროფკავშირების წესდების, პროგრამის და პროფკავშირის შესახებ კანონის პროექტების მომზადებაზე, ვიდრე პროექტებს ყრილობას წარუდგენდეთ, აუცილებლად მიგვაჩნია მათი ეარსო საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოტანა, გვჯერა, რომ რესპუბლიკის მშრომელები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მათს განხილვაში და თავიანთი წინადადებებით, შენიშვნებით ხელს შეუწყობენ მის დახვეწას, რათა ყრილობამ მიიღოს და დამტკიცოს ნამდვილად დემოკრატიული, მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობის საერთაშორისო ნორმების შესაბამისი საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების წესდება და პროგრამა, ხოლო რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით შეიტანონ კანონ-პროექტი საქართველოს პროფკავშირების უფლებათა შესახებ.

გთხოვთ თქვენი წინადადებები, შენიშვნები გამოგზავნოთ მისამართით, 380046 ქ. თბილისი, გრიბოედოვის 19, ოთახი 47.

ტელ.: 93-67-09, 99-71-87.

საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების ყრილობის მოსამზადებელი ჯგუფი.

პროექტი

საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის

წესდება

მუხლი 1. სახელმძღვანელო პრინციპები და მიზნები

1.1. საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია იქმნება ნებაყოფლობით საწყისებზე საქართველოს დარგობრივი და ავტონომიური ფორმირებების დამოუკიდებელი პროფკავშირების საფუძველზე, იღებს საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული, საერთო რესპუბლიკური ნშანშვნელობის ამოცანათა გადასაწყვეტად პროფკავშირული საქმიანობის ორგანიზაციის ძალთა კონსოლიდაციისათვის და ეწოდება „საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაცია“.

1.2. საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაცია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობის, აღნიშნული წესდების, საკონფედერაციო ხელშეკრულებისა და ადამიანის ინტერესების ქარტიის და საერთაშორისო ინსტრუმენტების საყოველთაოდ მოგვეცილნონ.

1.3. საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაცია არის სუვერენული, არაანგარიშვალდებული სახელმწიფო, სამეურნეო მმართველობის და პოლიტიკური ორგანიზაციებისა და პარტიების მიმართ. რესპუბლიკის მშრომელთა ინტერესებიდან გამომდინარე კონფედერაცია ესწრაფვის პარიტეტულობის და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ფართო ურთიერთთანამშრომლობას საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და მოძრაობებთან, ამავე პრინციპებზე თანამშრომლობს სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო პროფკავშირულ ორგანიზაციებთან.

1.4. საქართველოს პროფკავშირები — კონფედერაციის წევრები იღებენ სამართლებრივი, დემოკრატიული, ჰუმანური სახელმწიფოს შესაქმნელად, რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მისაღწევად.

1.5. საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის საქმიანობა გადაწყვეტილებების მიღებისას დაფუძნებულია პროფკავშირულ დემოკრატიაზე, საყოველთაო ბასა და კოლეგიალობაზე, უმცირესობის უფლებების დაცვისა და პატივისცემის გათვალისწინებით.

1.6. საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის მიზანია დაიცვას საქართველოს პროფკავშირული მოძრაობის საერთო ინტერესები ყველა კანონიერი საშუალების გამოყენებით იმ ფორმებში, რომელიც გათვალისწინებულია საკონფედერაციო ხელშეკრულებით, აღნიშნული წესდებით და საქართველოს პროფესიული კავშირების კონფედერაციის ყრილობის გადაწყვეტილებით.

მუხლი 2. უფლებამოსილებანი და ფუნქციები

საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის უფლებამოსილებანი განისაზღვრება საკონფედერაციო ხელშეკრულებით. საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის ყრილობას შეუძლია თავისი შეხედულებით მიანიჭოს კონფედერაციას ნებისმიერი დამატებითი უფლებამოსილებანი, რომლებიც არ ხელყოფენ ხელშეკრულებას და აღნიშნული წესდების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტს.

მუხლი 3. კონფედერაციის წევრები

3.1. კონფედერაციას ხელშეკრულების საფუძველზე ქმნიან პროფკავშირების დარგობრივი და ტერიტორიული ფორმირებები, ავტონომიური ფორმირებების საბჭოები, რომლებიც მოქმედებენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ცნობენ საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის წესდებას.

3.2. კონფედერაციაში, გამონაკლისის სახით, შესაბამისი ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე, შეიძლება შევიდეს პროფკავშირული ასოციაცია, გაერთიანება, კავშირი ან ორგანიზაცია, რომელსაც აქვს ამის სურვილი, მოქმედებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ცნობს საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების წესდებას.

3.3. პროფკავშირულმა ან სხვა ორგანიზაციამ, რომელმაც გამოთქვა სურვილი ხელშეკრულების დადებისა კონფედერაციაში შესვლაზე, კონფედერაციის გამგეობას უნდა წარუდგინოს შესაბამისი კოლექტიური ორგანოს გადაწყვეტილება და თავისი წესდება ან დებულება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ახალი ორგანიზაციის შემოსვლის სურვილის საფუძვლიანობა

პროექტი საქართველოს სსრ კანონი „პროფესიული კავშირების უფლებების შესახებ“

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

საქართველოს პროფკავშირები ნებაყოფლობითი, დამოუკიდებელი, თვითმოქმედი, დემოკრატიული საზოგადოებრივი ორგანიზაციებია, რომელთა საქმიანობის მთავარი ამოცანაა სახელმწიფო და მმართველობის ორგანოებში თავიანთი წევრების სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, შრომითი და პროფესიული უფლებების და ინტერესების ღირსეული წარმოდგენა და დაცვა.

საქართველოს პროფესიული კავშირები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონის, რესპუბლიკის სხვა კანონების, საკუთარი წესდებების, აგრეთვე ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში აღსებული ფუძემდებლური საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტებისა და კონვენციების შესაბამისად.

მუხლი 2. პროფესიული კავშირების შექმნა. პროფესიული კავშირების წესდებების რეგისტრაცია

მშრომელებს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე აქვთ უფლება საკუთარი სურვილისდა მიხედვით შექმნან პროფესიული კავშირები, პროფესიული, დარგობრივი, ტერიტორიული, საერთო რესპუბლიკური ან სხვა პრინციპებით, აგრეთვე აქვთ უფლება გაწევრიანდნენ ასეთ ორგანიზაციებში. მათ ასევე გააჩნიათ უფლება თავიანთი წევრების ინტერესებიდან გამომდინარე ითანამშრომლონ რესპუბლიკის გარეთ მყოფ და საერთაშორისო ნებისმიერ ორგანიზაციებთან თუ მოძრაობებთან. მშრომელთა პროფესიული ორგანიზაციებს ენიჭებათ უფლება დამოუკიდებლად შეიმუშაონ და მიიღონ თავიანთი წესდებები, პროგრამები და სხვა დოკუმენტები სახელმწიფო და სხვა ორგანოების მხრიდან ყოველგვარი ჩარევის გარეშე. პროფესიული ორგანიზაციებისა და კავშირების საწესდებო დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდნენ საქართველოს კონსტიტუციასა და მოქმედ კანონმდებლობას, ისინი ექვემდებარებიან რეგისტრაციას დადგენილი წესით, რის შემდეგაც სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით. წესდების რეგისტრაციაზე უარი შეიძლება გასაჩივრებული იქნეს სასამართლოში.

მუხლი 3. პროფესიული კავშირების უფლებები

1.1. საქართველოს პროფესიული კავშირები:

— მონაწილეობენ სახელმწიფო ორგანოების მიერ რეგიონებისა და დარგების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებისა და პროგრამების შემუშავებასა და მიღებაში, მათ შორის ალტერნატიული ვარიანტის წარდგენების გზითაც;

— მონაწილეობენ მოსახლეობის ცხოვრების დონის, საარსებო მინიმუმის და ამის საფუძველზე სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრაში მინიმალური ხელფასის, პენსიის, დახმარებებისა და სტიპენდიების დადგენის სფეროში;

— იცავენ თავიანთი წევრების შრომით ინტერესებს, აგრეთვე იღვწიან მათი სათანადო შრომის, ყოფის და საბინაო პირობებით, სოციალური დაზღვევით უზრუნველყოფისათვის;

— წარმოადგენენ და იცავენ თავიანთი წევრების ინტერესებს და იურიდიულ უფლებებს სახელმწიფო დაწესებულებებში, სამეურნეო ორგანოებში, სასამართლოებში, არბიტრაჟებში შრომითი ურთიერთობების, სამეურნეო ორგანიზაციების მიზეზით ჯანმრთელობის დაზიანებისათვის ანაზღაურების, კოლექტიური და ინდივიდუალური შრომითი დავების განხილვისას, სხვა სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვის სფეროში;

— აწყობენ და სათავეში უდგებიან შრომელთა გაფიცვებს, შრომითი კოლექტივების სახელით ადმინისტრაციას წარუდგენენ შრომელთა მოთხოვნებს შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესების თაობაზე, აიძულებენ მას შეასრულოს ეს მოთხოვნები;

— ახორციელებენ მათი წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 4. პროფკავშირების მიერ თავიანთი უფლებების განხორციელების მეთოდები და ხერხები

საქართველოს პროფესიული კავშირები თავიანთ უფლებებს ანორციელებენ შემდეგი გზით:

— მათი რესპუბლიკური უმაღლესი პროფკავშირული ორგანოების სახით საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით;

— ყველა დონის მართვის ორგანოებში სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე ნორმატიული აქტების პროექტების შეტანით;

— ყველა დონეზე იმ მმართველობითი აქტების შეცვლის ან გაუქმების მოთხოვნით, რომლებიც ზიანს აყენებენ მშრომელთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს;

— იმ კანონების დაცვის კონტროლით, რომლებიც არეგულირებენ შრომით და სოციალურ ურთიერთობებს, მათ შორის სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ფონდის ხარჯვას;

— კანონის შესაბამისად გაფიცვების, მიტინგების, მსვლელობების, მანიფესტაციების, საპროტესტო აქციების მოწყობის მეშვეობით;

— სხვა დასაშვები მეთოდებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან კანონს.

მუხლი 5. პროფესიული კავშირების უფლებათა გარანტიები

პროფესიული კავშირები, მათი გაერთიანებები, რომლებიც იქმნება პროფესიული, ტერიტორიული ან დარგობრივი პრინციპებით (ასოციაციები, ფედერაციები, კონფედერაციები, კავშირები, კომიტეტები, საბჭოები, პროფცენტრები, პროფგაერთიანებები და ა. შ.) თავიანთი საწესდებო საქმიანობის ფარგლებში სარგებლობენ სრული დამოუკიდებლობით სახელმწიფო, სამეურნეო, მუნიციპალური ორგანოების, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი მოძრაობებისაგან. პროფესიულ კავშირებს და მათ გაერთიანებებს (ასოციაციებს) შეუძლიათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ თავიანთი პოლიტიკური ორიენტაცია, ან თავი გამოაცხადონ აპოლიტიკურ ორგანიზაციად.

სახელმწიფო ან სამეურნეო მართვის ორგანოებს, პოლიტიკურ პარტიებს და მოძრაობებს არა აქვთ უფლება მიიღონ ნორმატიული ან სხვა მმართველობითი აქტები და გადაწყვეტილებები, რომლებიც ზიანს აყენებენ პროფკავშირების უფლებებს. ასეთი გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში შესაბამისი დონის პროფკავშირულ გაერთიანებას უფლება აქვს გაასაჩივროს იგი სასამართლოში, აგრეთვე თავისი პროტესტი გამოხატოს კანონით გათვალისწინებული სხვა ფორმებით (ბეჭდვითი ორგანოებს მეშვეობით, საპროტესტო აქციებით, მანიფესტაციებით, მიტინგებით, პეტიციებით, მოწოდებებზე ხელმოწერების შეგროვებით და ა. შ.).

თანამდებობის პირებს, რომლებსაც ბრალი ედებათ პროფკავშირების კანონიერი უფლებების დარღვევაში, წინააღმდეგობას უწევენ მათ მიერ საწესდებო მოვალეობების შესრულებას, ეძისრებათ დისციპლინარული, ადმინისტრაციული, მატერიალური ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა კანონით დადგენილი წესის მიხედვით.

პირებს, რომლებიც პროფკავშირულ ორგანიზაციებში არიან ვით თანამდებობებზე არიან ვის გამო განთავისუფლდნენ სამუშაოდან, მათი ამ თანამდებობიდან გადარჩევის შემდეგ ეძლევათ წინანდელი სამუშაო (თანამდებობა), ხოლო თუ ამის შესაძლებლობა არ არის, ტოლფასოვანი სამუშაო (თანამდებობა), მუშაკის თანხმობით ამავე ან სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში.

პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების თავმჯდომარეებს (ხელმძღვანელებს) საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების საკუთრების ფორმის მიუხედავად არ შეიძლება დაედოთ რაიმე სასჯელი, ან დათხოვნილი იქნენ სამუშაოდან პროფკავშირის წევრთა საერთო კრების წინასწარი თანხმობის გარეშე. აღნიშნული შეღავათი ვრცელდება ამ პირებზე მათი გადარჩევიდან ორი წლის განმავლობაში.

იმ პროფკავშირულ მუშაკებს, რომლებიც არ არიან განთავისუფლებულნი საწარმოო საქმიანობიდან, შრომითი კოლექტივის თანხმობით და კოლექტიური ხელშეკრულების გათვალისწინებით ეძლევათ თავისუფალი დრო თავიანთი საზოგადოებრივი მოვალეობის შესასრულებლად საშუალო ხელფასის შენარჩუნებით. ასეთივე წესი ვრცელდება მათზე მოკლევადიანი პროფკავშირული სწავლების პერიოდშიც.

მუხლი 6. პროფკავშირების შეთანხმებანი (ხელშეკრულებები) ცალკეულ ორგანოებსა და ორგანიზაციებთან, საწარმოს (დაწესებულების) ადმინისტრაციასთან

ყველა დონის პროფკავშირულ ორგანიზაციას აქვს უფლება დადოს სპეციალური შეთანხმება (ხელშეკრულება) სახელმწიფო ხელისუფლების რეგიონალურ ორგანოსთან, დარგობრივი და ტერიტორიული მართვის ორგანოებთან, საწარმოებს, კოოპერატივებს, ფირმებს, საიჯარო კოლექტივების, მეწარმეთა გაერთიანებების (ასოციაციების) ხელმძღვანელებთან შესაბამისი რეგიონის, დარგის, სამეურნეო ორგანიზაციის მშრომელების სოციალურ-ეკონომიკური, შრომითი, პროფესიული უფლებების და ინტერესების დაცვის საკითხებზე.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმოში ფუნქციონირებს რამდენიმე პროფორგანიზაცია, კოლექტიური ხელშეკრულება (შეთანხმება) მოლაპარაკების შედეგად იდება ადმინისტრაციასთან (მწარმოებელთან) ან ცალ-ცალკე თითოეული პროფკომიტეტის მიერ, ან ერთობლივად ყველა მოქმედ პროფკომიტეტთან, რომლებიც გამოდიან ამ შემთხვევაში მთელი შრომითი კოლექტივის სახელით.

დარგის ან რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან საკითხებზე შეიძლება დაიდოს შეთანხმება საქართველოს პროფორგანოებსა და მთავრობას, სამინისტროებს შორის, აგრეთვე მეწარმეთა, მოიჯარეთა, კოოპერატორთა გაერთიანებებთან (ასოციაციებთან).

მუხლი 7. პროფკავშირების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

პროფესიულ კავშირებს გააჩნიათ სამეურნეო-კომერციული საქმიანობის ყველა ფორმის გამოყენების უფლება, ე. ი. უფლება ფლობდნენ, სარგებლობდნენ და განკარგავდნენ თავიანთ ქონებას (საწარმოებს, შენობებს, ნაგებობებს), აგრეთვე ფინანსურ სახსრებს და ფასიან ქაღალდებს (საწევრო შესატანებს, აქციებს, შეწირულობებს, სამეურნეო საქმიანობიდან შემოსავლებს). პროფესიული კავშირების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა არ ექვემდებარება სახელმწიფო ორგანოების კონტროლს. ქონებრივი დავები პროფკავშირულ და სახელმწიფო ან სამეურნეო ორგანოებს შორის განიხილება კანონის შესაბამისად არბიტრაჟში ან სასამართლოში.

პროფკავშირების სამეურნეო ორგანიზაციები სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის გატარებისას სარგებლობენ შეღავათიანი უფლებებით კანონის შესაბამისად.

მუხლი 8. პროფესიული კავშირების პასუხისმგებლობა კანონების ან საკუთარი წესდების დარღვევისათვის. პროფესიული კავშირების საქმიანობის შეწყვეტა

პროფესიულ კავშირებს ეკისრებათ იურიდიული და ქონებრივი პასუხისმგებლობა კანონების ან საკუთარი წესდების მოთხოვნების დარღვევისათვის. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ პროფესიული კავშირები შეიძლება გაფრთხილებული იქნენ კანონის დარღვევის შესახებ ან მას შეიძლება დაედოს ფულადი ჯარიმა ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად.

პროფესიული კავშირები თავიანთ საქმიანობას წყვეტენ მათი წესდებების საფუძველზე და იქ გათვალისწინებული წესის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული კავშირის საქმიანობა ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, საკუთარ წესდებას და მიღებული იურიდიული და ქონებრივი ხასიათის ღონისძიებები არ იძლევიან შედეგებს, პროფესიული კავშირის საქმიანობა შეიძლება შეწყვეტილი იქნეს შესაბამისი დონის სასამართლოს გადაწყვეტილებით. სასამართლოში საკითხს პროფკავშირის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ აყენებენ პროკურატურის ორგანოები.

მუხლი 9. აღნიშნული კანონის მოქმედება

აღნიშნული კანონი ვრცელდება მშრომელთა ორგანიზაციების, გაერთიანებების, ასოციაციების, კომიტეტების, კავშირების, ფედერაციების, კონფედერაციების ყველა ფორმაზე, რომლებიც ფუნქციონირებენ ან შეიძლება მომავალში შეიქმნან მშრომელთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვისთვის ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში. ყველა მოქმედი პროფკავშირი და მათი გაერთიანებები ვალდებულნი არიან თავიანთი შიდა აქტები მოიყვანონ აღნიშნულ კანონთან შესაბამისობაში და რეგისტრაციაში გაატარონ წესდებები.

ნინო ჟვანია

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის წევრი, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი ნინო ავქსენტის ასული ჟვანია. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოახმარა სამშობლოს, კომუნისტური პარტიის უანგარო სამსახურს, რომლის რიგებში იგი იყო 1939 წლიდან.

ნ. ა. ჟვანია დაიბადა 1917 წლის 22 დეკემბერს ქალაქ ფოთში. 1938 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 1938-1948 წლების პერიოდში მუშაობდა საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორად, სტუდენტი ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ, საქართველოს ალკკ ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად. 1948 წელს ნ. ა. ჟვანია გადაეყვანა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში პასუხისმგებელ ორგანიზატორად. 1949-1953 წლებში იგი პარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანია, ხოლო 1953-1954 წლებში— საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი. შემდგომ წლებში ნ. ა. ჟვანია მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე, ხოლო 1964 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე (თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე იყო.

ყველა პოსტზე, რომლებიც კი მისთვის მიუნდვიათ, ნ. ა. ჟვანია იჩენდა განსაკუთრებულ შრომისმოყვარეობასა და დიდ ორგანიზატორულ ნიჭს.

სამშობლომ დიდად დააფასა ნ. ა. ჟვანიას ღვაწლი, დაჯილდოვა იგი ექვსი ორდენით, მათ შორის ორი ლენინის ორდენით და მრავალი მედლით.

გარდაიცვალა შესანიშნავი და გულისხმიერი ადამიანი, რომელიც გამოირჩეოდა უაღრესი კორექტულობითა და დიდი გულითადობით, მუდამ მზად იყო დახმარებოდა იმათ, ვისაც ეს სჭირდებოდა.

ნინო ჟვანიას ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ბ. ბ. ბუმბარიძე, ნ. ა. ჭითანავა, ბ. ა. ანჩაბაძე, ვ. ბ. ბურბელიძე, ბ. ნ. ენუქიძე, ო. ბ. ვარძელაშვილი, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ბ. დ. მასარაშვილი, ბ. დ. ფცელაძე, ბ. ა. ფეტონიძე, ა. ი. პავლენცევი, ბ. ხ. ჯიქია, ნ. რ. საჯაია, ვ. შ. ხიშა, ბ. ბ. ჩხეიძე, ო. ვ. ქვილითაია, ნ. ვ. ლეკიშვილი, ზ. ბ. კუხოვა, ვ. ვ. ტერეშკოვა, ნ. ა. ჯაფარიშვილი, ზ. ა. ქვაჭაძე, ნ. ი. ლალიძე, შ. დ. კიკნაძე, ი. ო. ანდრიაძე, ნ. ვ. ფლეგრიშვილი, ბ. შ. ბერაია.

საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ოთარ ქვილითაიამ მიიღო ამერიკის ფირმის „სეიბი კორპორეშნის“. ხელმძღვანელები და მათი მეთაური — ფირმის პირველი ვიცე-პრეზიდენტი დევიდ ტეილორი. ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების წარმომადგენლები ჩამოვიდნენ თბილისში, რათა გამართონ მოლაპარაკება რესპუბლიკასთან საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შედგომი განვითარების, ამერიკა-საქართველოს ერთობლივი საწარმოს „სიეტლ-თბილისის“ საქმიანობის გაფართოების შესახებ.

საუბრის დროს აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკის შეერთებული შტატების საქმიან წრეებთან საქართველოს პირდაპირი კავშირურთიერთობის შემდგომ გაფართოებას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მთავრობა დადებითად აფასებს ბოლო დროს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგში ამ ურთიერთობის გამოცოცხლებას და აპირებს კვლავაც აქტიურად შეუწყოს ხელი ამ პროცესებს.

დევიდ ტეილორმა დიდი მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის მთავრობას ერთობლივი საწარმოს საქმიანობის მოგვარებაში მუდმივი დახმარებისათვის.

დარწმუნებული ვართ, —თქვა მან, — რომ ჩვენი ბიზნესი საქართველოში განვითარდება და კარგი პერსპექტივები აქვს. რაც უფრო მეტ ინფორმაციას ვიღებთ საქართველოზე, მის კულტურაზე, რაც უფრო ახლო ურთიერთობას ვამყარებთ მის ნდამიანებთან, მით უფრო გვიძლიერდება ინტერესი ქართველ პარტნიორებთან მუდმივი თანამშრომლობის განვითარებისადმი.

ამერიკის კორპორაციის წარმომადგენლები შეეხნენ ერთობლივი მრავალდარგოვანი საწარმოს საქმიანობის შემდგომი გაფართოების პერსპექტივებს, კერძოდ, ზოგიერთი სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთობლივი წარმოების შესახებ მოლაპარაკებას, რომელიც წარმატებით მთავრდება, არა მარტო საბჭოთა კავშირში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ მესამე ქვეყნებშიც გასაღების ბაზრების ძიებას.

საუბრის დროს ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებულ შტატებში დამთავრებული უმაღლესი დონის მოლაპარაკება, მთელი რიგი დოკუმენტების ხელმოწერა, რომლებიც ხელს შეუწყობს ორი დიდი სახელმწიფოს საქმიანი თანამშრომლობის განმტკიცებას, ქვეყნად ურთიერთგაგებისა და მშვიდობის საქმეს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შეიქმნა ბუნების დაცვის ფონდები

ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა განსაზორციელებლად დამატებითი სახსრების მოზიდვის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით რესპუბლიკაში შეიქმნა ბუნების დაცვის ადგილობრივი და რესპუბლიკური ფონდები.

ამასთან დაკავშირებით ბუნების დაცვის ადგილობრივი ფონდების ხელმძღვანელობა და ფონდის მფლობელის ფუნქციები ეკისრებათ ავტონომიურ ოლქებს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოებს.

ბუნების დაცვის რესპუბლიკური ფონდის ხელმძღვანელობა და ფონდის მფლობელის ფუნქციები დაეკისრა საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს.

დამტკიცდა დებულება საქართველოს რესპუბლიკაში ბუნების დაცვის ადგილობრივი და რესპუბლიკური ფონდების შექმნისა და გამოყენების შესახებ.

(საქინფორმი).

საპატიო წოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქართული ეკონომიკური აზროვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისა და ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს ვალერიან სერგოს ძე **ადვაძეს** მიენიჭა „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

საქალაქო საბჭოს სესიაზე

რუსთავი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს მორიგმა სესიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხი. რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თეიმურაზ ივანეს ძე **ხაზარაძე.**

საჭირო განმარტება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 14 აპრილის დადგენილებამ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 45 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ ომის ვეტერანთა დიდი გამოხმაურება გამოიწვია. სამინისტროში მოდიან ომის ონა აწყლები, ინვალიდები, მოითხოვენ განმარტებულ კონკრეტულ პასუხს ამა თუ იმ საკითხზე. პრესაში კი ზოგჯერ არაზუსტი განმარტებები იბეჭდება.

ამასთან დაკავშირებით მინდა განვმარტო სამამულო ომის ინვალიდებისათვის 1990 წელს მსუბუქი ავტომანქანების გამოყოფის საკითხი, რომელიც განსაკუთრებით მტკივნეულია ჩვენი რესპუბლიკისათვის, მანქანების შეძენის რიგში ხომ სამამულო ომის 12 ათასი მონაწილე და ინვალიდი ელოდა.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ 1990 წელს გამოიყოფა 50 ათასი მსუბუქი ავტომანქანა დიდი სამამულო ომის მონაწილეთათვის, მათ შორის ომის ინვალიდებისათვის, რომლებსაც „ზაპოროჟეცის“ უსასყიდლოდ მიღების უფლება აქვთ, — 32 ათასი.

ამ დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკას სამამულო ომის ინვალიდებზე უფასოდ გასაცემად დამატებით გამოეყო 1050 მსუბუქი ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“, ხოლო მისაყიდად 240 „ჟიგული“ და 200 ძველი მოდელის „მოსკვიჩი“.

„კომუნისტის“ მკითხველებს შევახსენებთ, რომ მანქანა „ზაპოროჟეცი“ განკუთვნილია მხოლოდ ომის ინვალიდებისათვის, რომლებსაც საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის მიერ მიკუთვნებული აქვთ იგი უფასოდ.

ჩვენი რესპუბლიკის ომის ინვალიდებისათვის ყოველწლიურად უფასოდ გამოიყოფა 780 ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიმდინარე წელს დამატებით გამოიყო 1050 „ზაპოროჟეცი“. თუ მანქანათა ეს რაოდენობა დროულად წლის ბოლომდე მოგვაწოდეს, სამინისტროში მათზე რიგი აღარ გვექნება.

იმის გამო, რომ ომის ინვალიდთა უმრავლესობას არ აქვს ყოფილებს აღნიშნული ავტომანქანები და მოითხოვენ უფრო კომფორტაბელურ და თანამედროვე ავტომანქანებს, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ყოველწლიურად გამოყოფილი მსუბუქი ავტომანქანების ფონდების ფარგლებში, ომის ინვალიდთა სურვილით, მათ მიეყიდოს სხვა მოდელის ავტომანქანები და ღირებულებიდან გამორიცხოს მათთვის მიკუთვნებული უფასო ავტომანქანა „ზაპოროჟეცის“ ღირებულება.

ეს შეღავათი პირველ რიგში გაერცელდება სამამულო ომის იმ ინვალიდებზე, რომლებსაც ფიზიკური მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ ავტომანქანა „ზაპოროჟეცით“ სარგებლობა, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დაწესებული ფონდის ზევით გამოიყოფს „ჟიგულებს“ და „მოსკვიჩებს“ სწორედ ამ დანიშნულებით.

რაც შეეხება დამატებით მისაღებ 240 „ჟიგულს“ და 200 „მოსკვიჩს“ (ძველი მოდელისა), სოცუზრუნველყოფის სამინისტრო ამ მანქანების მიღებისთანავე გაუნაწილებს მათ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სოცუზრუნველყოფის განყოფილებებს რიგში მდგომი ომის მონაწილეთათვის მისასყიდად. ეს ღონისძიება განხორციელდება თანდათანობით, მანქანების მიღების კვალობაზე, წლის ბოლომდე.

პავლე ბაკურაძე,
საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სოციალური მომსახურების განყოფილების უფროსი.

ქირგიზეთი: ვითარება კვლავ დაძაბულია

ფრუნზე. 8 ივნისი. (ᲥᲘᲠᲒᲘᲖᲘᲡᲐᲫᲒᲘᲡᲘ). დღეს ყირგიზეთის დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა პანაშვიდი და სამგლოვიარო მიტინგი ოშის ამბების დროს ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად. ასე დაიწყო საგანგებო წესების პირველი დღა ყირგიზეთის დედაქალაქში.

საგანგებო წესების მკაცრი რეჟიმის დარღვევის ნება დართო მოსახლეობას ქალაქ ფრუნზეს კომენდანტმა, პოლკოვნიკმა ფ. კულოვმა, რომელმაც გარკვეული მონდომება გამოიჩინა და გადაახდევინა ფრუნზელებს პანაშვიდი.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროო იუწყება, ღამემ ქალაქში მშვიდად ჩაიარა, მესამედით შეკირდა სამართალდარღვევათა რიცხვი ჩვეულებრივ დღეებთან შედარებით, დღეს, ისევე როგორც წინათ, მუშაობს ყველა საწარმო, დაწესებულება, მაღაზია და ბაზარი.

მაგრამ ოშის ოლქში ვითარება კვლავ დაძაბულია. ღამე გრძელდებოდა სროლა ქუჩებში, დაშავდა ექვსი კაცი, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი კურსანტი ტყვიით დაჭრეს, დაწვეს საერთო საცხოვრებელი და სახლი. უზბეკეთის ანდიჟანის ოლქის საზღვარზე თავი მოიყარა უზბეკთა დიდმა ჯგუფმა. ისინი ჯავშნოსანი ტექნიკის გამოყენებით შეაჩერეს ჯარის ქვეგანაყოფებმა. საჯარისო განწესების განიარაღების ცდა უსისხლო გამაფრთხილებელი ჰაერში სროლით აღიკვეთა.

ყირგიზეთის სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის რაზმის შტაბის უფროსმა ტ. კაკჩიკვეევმა საკდესის კორესპონდენტს უთხრა:

— ვითარება ქალაქ ოშში ძირითადად ჩვენს კონტროლს ექვემდებარება, მაგრამ დაძაბულობის კერებმა რაიონებში გადაინაცვლა. კვლავ ძნელი სიტუაციაა უზგენის რაიონში, სადაც უკვე მოკლულია 24 კაცი, 47 — დაიჭრა, დაიწვა 16 სახლი, გაუარესდა მდგომარეობა ყარასუს რაიონში. კეტებითა და ქვებით შეიარაღებული ბრბო თავს დასხმა პარტიის საოლქო კომიტეტის შენობას, საავადმყოფოს, შინაგან საქმეთა რაგანყოფილებას. შენობების ხელში ჩაგდების ცდა აღკვეთეს შინაგანი ჯარების ნაწილებმა და არმიამ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვსი მუშაკი დაიჭრა.

ჩვენ გვიხდება არა მარტო საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობა და მოიერიშეთა კარგად მომზადებული თავდასხმების მოგერიება, როგორც, მაგალითად, ოშის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ხელში ჩაგდების ცდის დროს იყო, არამედ აგრეთვე ქორების გაქარწყლებაც. მთქმელი-მოთქმა და მონაჟორი ძალზე საშიშია, კატასტროფული სისწრაფით ვრცელდება მოსახლეობაში, პანიკას იწვევს და ერთმანეთს უმხედრებს ხალხს. მაგალითად, ჩვენ გვაცნობეს, რომ ყირგიზეთის სოფელ ჯაპალაკში უზბეკთა ოჯახს აწამებდნენ. ადგილზე რომ ჩავედით, ვნახეთ ოჯახის უფროსი, რომელიც ყირგიზ აქსაკალებთან ერთად ბეჭობდა, როგორ დაეცვათ სოფელი, მეორეგან გლეხებმა თანასოფელი აიძულეს ჩაებარებინა ავტომატი, რომელიც მას მილიციელისათვის წაურთმევია. ასეთი შემთხვევები ბევრია. ეორები კი... იგრძნობა, რომ ეს არის ნაწილი კარგად დაგეგმილი აქციისა, რომელსაც მოჰყვა ოშის ოლქში მომხდარი ამბები.

იმის გამო, რომ მკვეთრად გამწვავდა ვითარება, დაიწყო არეულობა, რომელმაც გამოიწვია მსხვერპლი, **რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა** მოქალაქეთა დაცვისა და უთანხმობის მიზნით დაადგინა შემოეღო 7 ივნისიდან ოშის ოლქის მთელ რიგ რაიონებში **კომენდანტის** საათი.

ოშში ჩავიდნენ სსრ კავშირის **პრეზიდენტის** საბჭოს წევრი ჩ. აითმათოვი, უზბეკი მწერლები ა. იაკუბოვი და პ. ყადიროვი. დღეს ისინი ოშის ტელევიზიით გამოვიდნენ და ოლქის, ყირგიზეთის ყველა მცხოვრებს მოუწოდეს გამოიჩინონ ამ ძნელბედობის ჟამს სიბრძნე, მოთმინება, ყველაფერი ილონონ ტრაგედიის შესაჩერებლად.

● პერუ

ქვეყნის პრეზიდენტი იაპონელია

ლიმა. უშიშროების საგანგებო ღონისძიებათა ვითარებაში, რომლებიც ტერორისტთა განუწყვეტელ გამოხდომებს უკავშირდება, კვირას პერუში გაიმართა პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური. წინასწარი მონაცემებით, უმაღლესი სახელმწიფო პოსტისათვის ბრძოლაში გაიმარჯვა დამოუკიდებელი დაჯგუფების „ცვლილება-90“ ლიდერმა ალბერტო ფუჯიმორიმ, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების 49 პროცენტი დააგროვა. მისმა მეტოქემ, ემბარჯვენეცენტრისტული ბლოკის „დემოკრატიული ფრონტის“ კანდიდატმა, ცნობილმა მწერალმა მარიო ვარგას ლიოსამ ხმების 42,1 პროცენტი მიიღო.

პრესის კომენტარებში აღინიშნება, რომ ფუჯიმორის იაპონურმა წარმოშობამ ერთგვაროვან ხელი შეუწყო მის გამარჯვებას. ეკონომიკური სიძნელეებით დაღლილ პეროელებს იმედი აქვთ, რომ ახალი პრეზიდენტი, რომელსაც იაპონიასთან „სისხლით ნათესაობა“ აკავშირებს, შეძლებს, გააქტიუროს და გააფართოოს პერუს თანამშრომლობა არა მარტო ამ ეკონომიკურ გიგანტთან, არამედ წყნარი ოკეანის რეგიონის სხვა ქვეყნებთანაც. ამ თვალსაზრისით სიმბოლურად გამოიყურება ის ფაქტიც, რომ ფუჯიმორის გამარჯვება ერთ-ერთმა პირველმა იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ტოსიკი კაიფუმ მიულოცა.

დამკვირვებელთა ერთსულოვანი აზრით, ლიმის საჭურველის მოედანზე პრეზიდენტის სასახლის ახალმა მფლობელმა, რომელიც მოვალეობის შესრულებას 28 ივლისს შეუდგება (ამ დღეს მას 52 წელი შეუსრულდება), დიალოგზე უნდა გააკეთოს აქცენტი და პოლიტიკური პარტნიორები ეძებოს. საქმე ის არის, რომ აპრილის საპარლამენტო არჩევნების შედეგად (მაშინ ა. ფუჯიმორიმ მ. ვარგას ლიოსასთან შედარებით სულ 2 პროცენტით ნაკლები ხმა დააგროვა) ვერც ერთმა პარტიამ თუ დაჯგუფებამ ვერ მიიღო კონგრესში გადამწყვეტი უპირატესობა, მომავალი მთავრობის მიერ ეფექტიანი პოლიტიკის გატარება კი პარლამენტის მხარდაჭერას მოითხოვს.

**ჩვენი არქივიდან: ალბერტო კენია ფუჯიმორი დაიბადა 1938 წელს ლიმაში, იაპონელი ემიგრანტების ოჯახში. პროფესიით აგრონომია, 1960 წელს დაამთავრ

ეძღვნება „დედა ენის“ უკვდავ ავტორს

ცნობილი გახდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მიერ გამოცხადებული გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი დახურული კონკურსის გამარჯვებულთა სახელები. ამ შემოქმედებითს ასპარეზობაზე დაშვებული იყო იაკობ გოგებაშვილის სიტყვებზე დაწერილი ან „დედა ენის“ უკვდავი ავტორისადმი მიძღვნილი საბავშვო სიმღერები.

ჟიურის გადაწყვეტილებით **პირველი პრემიით** დაჯილდოდა

მუსიკალური კონკურსის შედეგები

კომპოზიტორი შოთა მილორავა სიმღერისათვის „მოწვევა სწავლაზე“, რომელიც შექმნილია საბავშვო ვოკალური ანსამბლის (ან გუნდის) სოლისტისა და ფლეიტისათვის.

მეორე პრემიები მიენიჭათ კომპოზიტორ ჯემალ ბეგლარიშვილს გიორგი ლეონიძის ლექსზე „დედა ენა“ შექმნილი სიმღერისათვის ოთხხმიანი საბავშვო გუნდისათვის, და კომპოზიტორ რამაზ ქარუხნიშვილს სიმღერისათვის „ველზე ჩამორბის წკანწკარით“ საბავშვო ვოკალური ანსამბლის (ან გუნდის) სოლისტისა და ფლეიტისათვის.

ორი მესამე პრემიით დაჯილდოვდა კომპოზიტორი გივი ალაზნისპირელი (ლილი ნუცუბიძის ლექსზე დაწერილი სიმღერისათვის „სამშობლოს დილა“ სამხმიანი საბავშვთა გუნდისა. და ორი სოლისტისათვის ფორტეპიანოს თანხლებით, და ა. მეგრელიშვილის ლექსზე დაწერილი სოლო სიმღერის „გაზაფხულისათვის“.

მესამე პრემიით აღინიშნა აგრეთვე კომპოზიტორ ლევან თაქთაქიშვილის სიმღერა „დედა ენა“, რომელიც მან შექმნა ლ. ბაბადიშის ლექსზე ბავშვთა გუნდისათვის აკაპელა.

გამარჯვებული სიმღერები აჟღერდება ჩვენი ლიტერატურის დიდებისა და სიამაყის — იაკობ გოგებაშვილის დაბადების 150 წლისთავის ზეიმის დღეებში.

(საქინფორმი).

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

მესამე რესპუბლიკური...

წელს მესამედ იმართება საქართველოს საქალაქო და სარაიონო სახელმწიფო თეატრების რესპუბლიკური ფესტივალი (ფესტივალს დასაბამი მიეცა 1983 წელს).

დედაქალაქის, მაყურებელი 12-დან 25 ივნისამდე გაეცნობა ჩვენი თეატრების თორმეტ საუკეთესო სპექტაკლს, მათი უმრავლესობა სეზონის ბოლო ნამუშევარია. რეპერტუარი მრავალფეროვანია როგორც თემატიკურად, ისე ჟანრობრივად. სასიამოვნოა, რომ ქართული დრამატურგია მესამე ფესტივალზე უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი.

ფესტივალის გახსნის პატივი წილად ხვდა სოხუმის კონსერვატორიე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს. ამ საღამოს ისინი წარმოადგენენ გიორგი გამსახურდიას პიესას „მუნჯ სიზმრებს“. ეს სპექტაკლი თეატრალური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტის ბეჟა ქავთარაძის საკურსო ნამუშევარია, მასში თეატრის ახალთაობა მონაწილეობს (დადგმის ხელმძღვანელია საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თემურ ჩხეიძე).

მესხეთის თეატრი 13 ივნისს წარმოადგენს ყან ნიუის „ანტიგონეს“ პრემიერას, (რეჟისორი ზურაბ სიხარულიძე). ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო ქართულ თეატრს ორი დღე ეთმობა. 14 ივნისს იგი მაყურებელს უჩვენებს დავით გაჩეჩილაძის „ბახტრიონს“ (დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ლერი პაქსაშვილმა), 15 ივნისს — ლალი როსებას „პრემიერას“.

საკმაოდ აპრობირებული სპექტაკლია თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის თეატრის „ნახვის დღე“. იგი ერთი წელია, რაც თეატრის რეპერტუარშია, მაგრამ მაყურებელი არ აკლდება რეჟისორ გიორგი ჩაკვეტაძის ამ მრავალმხრივ საინტერესო ნამუშევარს, რომელსაც თბილისელი მაყურებელიც იცნობს, მაგრამ მაშინ ყველა მსურველმა ვერ ნახა სპექტაკლი.

ქუთაისის ლადო მესხიშვილის თეატრიც. ორი სპექტაკლით მონაწილეობს ფესტივალზე. მაყურებელი ნახავს ლაშა თაბუკაშვილის „ათვინიერებენ მიმინოს“ და დათო ტურაშვილის პირველ პიესას „და ერთ მშვენიერ დღეს“ (17-18 ივნისს).

ფესტივალს ჰყავს სტუმარი, კანადის სცენისმოყვარეთა თეატრი „თამაშობენ ახალგაზრდები“. სტუმრები 19 ივნისს წარმოადგენენ მუსიკალურ მოზაიკას „ახალი სკოტიის სიმღერებს“.

ფრიდრიხ დიურენმატის „მოხუცი მანდილოსნის ვიზიტი“ რუსთაველის თეატრის ახალი სპექტაკლია, (დადგმა რეჟისორ ანდრო ენუქიძისა).

აკაკის 150 წლისთავს მიუძღვნა ჭიათურის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრმა გიორგი ხუხაშვილის „აკაკი“. ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის თეატრმა საფესტივალოდ შოლომ ალეიხემის „მერძევე ტევიე“ ჩამოიტანა.

პრემიერაა გორის გიორგი ეროსთავის სახელობის თეატრის სპექტაკლი — ოთარ ჩხეიძის „სოლომონი, მსაჯული მეფისა“, რომელსაც 23 ივნისს ნახავს მაყურებელი (დადგმა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ი. მაცხონაშვილისა).

ზუგდიდის შალვა დადიანის თეატრს ჩამოაქვს ლეო ქიაჩელის „თავადის ქალი მაია“. იგი დადგა რობერტ სტურუას მოწაფემ მერაბ სვირავამ, ამ სპექტაკლს უკვე ჰქონდა დადებითი გამოხმაურება და ალბათ იგი დედაქალაქის მაყურებლის მხარდაჭერასაც მოიპოვებს.

ფესტივალის დახურვის დღეს, 25 ივნისს, 11 საათზე გაიმართება საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის პლენუმი თემაზე: „რესპუბლიკის თეატრების 1989-90 წლების სეზონის შედეგები და ახალი ამოცანები“, საღამოს კი ფესტივალის საზეიმო დახურვისას გამოაცხადებენ გამარჯვებულ კოლექტივებსა და თეატრის მოღვაწეებს, გადასცემენ პრემიებს. საუკეთესო ახალი სპექტაკლისათვის, საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისათვის, საუკეთესო დრამატურგიისათვის, ქალის და მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის, საუკეთესო დეკორატიული და მუსიკალური გაფორმებისათვის.

საფესტივალო სპექტაკლების უმეტესობა გაიმართება აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლის სცენაზე გარდა ქუთაისის და რუსთავის თეატრებისა, ქუთაისელთა სპექტაკლები რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე გაიმართება, რუსთავის თეატრისა კი მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე.

იმედია, დედაქალაქის მაყურებელი უყურადღებას არ მოაკლებს საფესტივალო სპექტაკლებს, რადგან დღეს, როგორც არასოდეს გვჭირდება მხარდაჭერა და ერთმანეთის გვერდით დგომა. გაისმის ხმები, თითქოს ქართული თეატრი ინდიფერენტული იყოს ეროვნული მოძრაობის მიმართ. ვისაც საფესტივალო სპექტაკლების უმრავლესობა ნანახი აქვს, დაგვეთანხმება, რომ დღევანდელი ქართული თეატრი კვლავაც თავისი დიდი ტრადიციების ერთგულია, რომ იგი ჭეშმარიტად ეროვნული ინტერესებით ცხოვრობს და სულდგმულობს, მას გათვალისწინებული და გააზრებული აქვს თავისი უზენაესი მისია ქართველი ხალხის ისტორიული ბედის, მისი მომავლის წინაშე.

გიორგი ლალიაშვილი.

აქცია დასრულდა

ათი დღე გრძელდებოდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფის შიმშილობა. აქციის მონაწილეები, როგორც ცნობილია, მოითხოვდნენ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიის სასწრაფო მოწვევასა და მის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას მთელ რიგ იმ საკითხებზე, რომლებიც ამჟამად აწუხებს რესპუბლიკის საზოგადოებრიობას. მოგვიანებით მიმშილეებთან სოლიდარობის ნიშნად აქციას შეუერთდნენ ჰელსინკის კავშირი, საქართველოს მონარქისტული პარტია, მერაბ კოსტავასა და ილია მართლის საზოგადოებები, საქართველოს სახალხო ფრონტი, „მწვანეთა“ პარტია, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები, თბილისის ცალკეული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წარმომადგენლები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან მოშიმშილეების შეხვედრის შემდეგ, დეპუტატთა ჯგუფმა დასვა სესიის მოწვევის საკითხი. რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებით სესიას მოიწვევენ 20 ივნისს, იგი განიხილავს შიმშილობის მონაწილეთა მიერ აღძრულ საკითხებს. ამრიგად, რაკი აქციის გაგრძელება აღარ იყო საჭირო, მოშიმშილეებმა გამოაცხადეს მისი შეწყვეტა.

(საქინფორმი).

შემთხვევა ზღვაზე

ბათუმი. (საკ. კორ.). ეს ამბავი 23 მაისს მოხდა. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერ „კომანდარმ ფედკოს“ კუოსი ინდონეზიისაკენ ჰქონდა აღებული. ვახტზე მყოფმა კაპიტნის თანაშემწემ მ. კარდამოვმა ღია ზღვაში კვამლის მაღალი სვეტი შენიშნა. აშკარა იყო, რომელიღაც ხომალდს უბედურება შეემთხვა. მიახლოვების შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა. ბანგლადეშის ალმით მცურავი მშრალი ტვირთის ხომალდი „ალ-სანა“ ცეცხლში იყო გახვეული. ხანძარი თანდათან ძლიერდებოდა. გემის კაპიტნის პირველმა თანაშემწემ ზ. წუწუნავამ უმალვე მიიღო გადაწყვეტილება — მთელი საშუალებებით დახმარებოდა განწირულ გემს. „კომანდარმ ფედკოს“ მაშველი რაზმი ახმოჭრებულ სტიქიასთან ბრძოლაში ჩაება. შუაპოვარმა ბრძოლამ 8 საათს გასტანა. საქართველოს მეზღვაურებმა ხანძარი ჩააქრეს. „ალ-სანას“ კაპიტანმა დიდი მადლობა გადაუხადა ჩვენს მეზღვაურებს, რომლებმაც კატასტროფა ააცილეს ეკიპაჟსაც და ხომალდსაც.

წინ პასუხსაგები გზაა

დასრულდა კიდევ ერთი სასწავლო წელი, რამდენიმე დღეც და ჩვენი ყმაწვილები ცხოვრების დიდ გზაზე გავლენ მომავალი საქართველოს საკეთილდღეოდ.

ტრადიციულად აღინიშნება სკოლის დამთავრების დღე, რომელიც, ალბათ, ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი უნდა იყოს ყმაწვილის ცხოვრებაში.

სახალხო განათლების მესვეურებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ამ დღის საზეიმოდ აღნიშვნის ორგანიზაციას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს მიმართვა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონული განათლების განყოფილებების მიმართ, სადაც აღნიშნულია, რომ გვმოსაშვები საღამოები უნდა მოეწყოს სკოლის დირექციისა და მშობელთა აქტივის ერთობლივი ძალისხმევით, პომპეზური წვეულებების გარეშე, რათა არასასურველი ინციდენტები არ მოხდეს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ გამოაქვეყნებენ ამ მიმართვას ყველა ადგილობრივ ინფორმაციულ ორგანოში, ეფექტურად ჩაერთვებიან ამ ღონისძიებაში ადგილობრივი ხელისუფლებანი, ეროვნული ორგანიზაციები, ინტელიგენციის ფენა, ეკლესია, ბიზნესმენები, ფერმერული ფაბრიკა-ფირმები, ბანკები, ფონდები, ფიზიკური და იურიდიული პირები, ეროვნული ნაკრებები, ეროვნული ანსამბლები, ეროვნული ბალეტი, ეროვნული ოპერა, ეროვნული ბიბლიოთეკა, ეროვნული ბიბლიოთეკა, ეროვნული ბიბლიოთეკ